

ჩანართი: ინფორმაცია

მომხმარებლისთვის მეზიმ® ფორტე 25 000

25 000 ერთ. Ph. Eur. ლიპაზა

მკვრივი კაფსულები, შევსებული ნაწლავში ხსნადი მინი-ტაბლეტებით
 ღორის კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებული ფხვნილი

მოცემული სამკურნალო საშუალების გამოყენების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ სრული ჩანართი, რადგან ის შეიცავს თქვენთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას.

მოცემული პრეპარატი ყოველთვის გამოიყენეთ ამ ჩანართში მოყვანილი ინსტრუქციის ან მკურნალი ექიმის ან ფარმაცევტის მითითებების ზუსტად დაცვით.

- შეინახეთ მოცემული ჩანართი. შეიძლება, კვლავ დაგჭირდეთ მისი გადაკითხვა.
- თუ დამატებითი ინფორმაცია ან რჩევა დაგჭირდათ, კონსულტაციისთვის მიმართეთ ფარმაცევტს.
- რომელიმე გვერდითი მოქმედების გამოვლენის შემთხვევაში მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. ეს ასევე, ეხება ნებისმიერ შესაძლო გვერდით მოქმედებას, რომელიც არ არის აღწერილი მოცემულ ჩანართში. იხ. პარაგრაფი 4.
- თუ 7-14 დღის შემდეგ მდგომარეობა არ გაგიუმჯობესდათ, ან გაგიუარესდათ, მიმართეთ მკურნალ ექიმს.

მოცემული ჩანართის შინაარსი:

1. რას წარმოადგენს პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000 და რისთვის გამოიყენება იგი
2. რა უნდა იცოდეთ პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის გამოყენებამდე
3. როგორ გამოიყენება პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000
4. შესაძლო გვერდითი მოქმედება
5. როგორ ინახება პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000
6. შეფუთვის შემადგენლობა და დამატებითი ინფორმაცია

1. რას წარმოადგენს პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000 და რისთვის გამოიყენება

იგი რას წარმოადგენს პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000?

მეზიმ® ფორტე 25 000 არის სამკურნალო საშუალება, რომელიც შეიცავს ღორის კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებულ (კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებული ფხვნილი, რომელსაც აგრეთვე ეწოდება პანკრეატინი) საჭმლის მომნელებელ ნივთიერებებს (ფერმენტებს).

რისთვის გამოიყენება პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000?

პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000 ასრულებს საჭმლის მომნელებელი ფერმენტების შემცველ ფუნქციას საჭმლის მონელების პროცესების მოშლისას (საჭმლის მონელების დარღვევისას), რაც გამოწვეულია კუჭქვეშა ჯირკვლის მიერ გამომუშავებული საჭმლის

მომნელებელი ფერმენტების უკმარისობით ან არარსებობით, ან ნაწლავის სანათურში საჭმლის მომნელებელი ფერმენტების მოქმედების შესუსტებით. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, მაგალითად, შემდეგი დაავადებებით:

- კუჭქვეშა ჯირკვლის ნებისმიერი წარმოშობის (ალკოჰოლური, ტრავმული, აუტოიმუნური, მემკვიდრეობითი, წამლისმიერი, ტროფიკული კალციფიცირებული, იდიოპათური) ხანგრძლივად მიმდინარე ანთება (ქრონიკული პანკრეატიტი).
- მუკოვისციდოზი (ლორწოვანი ჯირკვლების მემკვიდრეობითი დაავადება სხვადასხვა ორგანოების დაზიანებით).
- კუჭქვეშა ჯირკვლის სადინარის შევიწროვება, მაგალითად, სიმსივნის ან ნაღვლის კენჭების არსებობის შედეგად.
- ოპერაციები კუჭქვეშა ჯირკვალზე.
- კუჭზე ან ნაწლავზე ოპერაციების შემდეგ, მომატებული გაღიზიანებადობის ან ნაწლავური ინფექციების თანაობისას, ნაწლავში საკვები მასის დაჩქარებული გადაადგილება.
- ძნელად გადასამუშავებელი ბოსტნეულის, ცხიმოვანი და უჩვეულო საკვების მიღება, რაც იწვევს საკვები ნივთიერებების შეწოვის გაუარესებას და საჭმლის მონელების დარღვევას მადის დაკარგვის, ბოყინის, ღებინების და დიარეის (დისპეფსიის) სახით.
- ღვიძლის / ნაღვლის ბუშტის ფუნქციის დარღვევა.
- ცელიაკია.
- ნაწლავის ანთებითი დაავადებები (განსაკუთრებით კრონის დაავადება).
- შაქრიანი დიაბეტი.
- შეძენილი იმუნოდეფიციტის (შიდსის) სინდრომი.
- შვაჩმანის სინდრომი.
- შეგრენის სინდრომი.

თუ 7-14 დღის შემდეგ მდგომარეობა არ გაგიუმჯობესდათ, ან გაგიუარესდათ, მიმართეთ ექიმს.

2. რა უნდა იცოდეთ პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის

გამოყენებამდე არ მიიღოთ პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000 შემდეგ

შემთხვევებში:

- თუ გაქვთ ალერგია კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებული ფხვნილის, ღორის ხორცის ან მოცემული პრეპარატის ნებისმიერი სხვა კომპონენტის მიმართ (ჩამოთვლილია პარაგრაფში 6).
- თუ გაქვთ კუჭქვეშა ჯირკვლის მწვავე ანთება ან ქრონიკული ანთების გამწვავება დაავადების გამწვავების ფაზაში. თუმცა, პრეპარატის ეპიზოდურად დანიშვნა მისაღებია დაავადების ჩაქრობის ფაზაში დიეტის გაფართოვების დროს, იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნებულია საჭმლის მონელების დარღვევები.

გაფრთხილება და სიფრთხილის ზომები

პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის მიღების წინ კონსულტაციისთვის მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

- თუ შენიშნეთ ნაწლავური გაუვალობის მსგავსი ნიშნები (მაგალითად, მუცლის ტკივილი, ნაწლავის მუშაობის შეწყვეტა, გულისრევა, ღებინება). ნაწლავური გაუვალობა მუკოვისციდოზით დაავადებულ პაციენტებში ხშირი გართულებაა.
- კუჭსა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტში უჩვეულო დისკომფორტის ან სიმპტომების შეცვლის შემთხვევაში, სიფრთხილის ზომის სახით, საჭიროა ექიმთან გამოკვლევის ჩატარება, ნაწლავის მხრივ შესაძლო დარღვევების დასადგენად. ეს განსაკუთრებით ეხება პაციენტებს, რომლებიც დღე-ღამეში ღებულობენ 10 000 ერთეულზე მეტ ლიპაზას სხეულის მასის 1 კგ-ზე.
- მოცემული პრეპარატი შეიცავს აქტიურ ფერმენტებს, რომლებმაც, პირის ღრუში გამოთავისუფლებისას, მაგალითად, დაღეჭვის შემთხვევაში, შეიძლება დააზიანოს ლორწოვანი გარსი (მაგალითად, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის წყლულების წარმოქმნით). ამიტომ, საჭიროა პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის კაფსულის მთლიანად გადაყლაპვა.

პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000 და სხვა სამკურნალო საშუალებები

აცნობეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს თუ იღებთ, ახლო წარსულში იღებდით ან გეგმავთ ნებისმიერი სხვა სამკურნალო საშუალების, მათ შორის რეცეპტის გარეშე გასაცემი პრეპარატების, მიღებას.

ისეთი მზა სამკურნალო საშუალებების მიღებისას, რომლებიც შეიცავს კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებულ ფხვნილს, შეიძლება გაუარესდეს ორგანიზმში ფოლიუმის მჟავას შეწოვა (სისხლში ფოლიუმის მჟავას მოხვედრა), რის გამოც შესაძლოა საჭირო გახდეს ფოლიუმის მჟავას დამატებითი მიღება.

მოქმედი ნივთიერებების აკარბოზისა და მიგლიტოლის (დიაბეტის საწინააღმდეგო პერორალური პრეპარატები) შაქრის დამწევი ეფექტი შეიძლება შემცირდეს პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-თან ერთდროულად მიღებისას.

ორსულობა და ძუძუთი კვება

თუ ხართ ორსულად, ფიქრობთ, რომ ხართ ორსულად, ან გეგმავთ ორსულობას, მოცემული სამკურნალო საშუალების მიღებამდე კონსულტაციისთვის მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

ორსულებში პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის გამოყენების საკმარისი გამოცდილება არ არსებობს. ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მიღებული მონაცემები ორსულობასთან, საშვილოსნოსშიდა განვითარებასთან, მშობიარობასთან და დაბადების შემდეგ ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით არასაკმარისია. ადამიანისთვის შესაძლო რისკი დადგენილი არ არის. ორსულობის ან ძუძუთი კვების პერიოდში პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის მიღება არ შეიძლება, გარდა იმ

შემთხვევებისა, როდესაც მკურნალი ექიმის მიერ მიღებული იქნება გადაწყვეტილება პრეპარატის მიღების აბსოლუტური აუცილებლობის შესახებ.

სატრანსპორტო საშუალებების მართვა და მექანიზმებთან მუშაობა

პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000 არ ახდენს ზეგავლენას ან უმნიშვნელოდ მოქმედებს სატრანსპორტო საშუალებების მართვისა და მექანიზმებთან მუშაობის უნარზე.

3. როგორ მიიღება პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000

მოცემული პრეპარატი ყოველთვის გამოიყენეთ ამ ჩანართში მოყვანილი ინსტრუქციის ან მკურნალი ექიმის ან ფარმაცევტის მითითებების ზუსტად დაცვით. პრეპარატის მიღების შესახებ რამე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

დოზირება

რეკომენდებული დოზა:

პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის 1 კაფსულა საკვების მიღებაზე (შეესაბამება 25000 ერთ. Ph. Eur. ლიპაზას საკვების მიღებაზე).

დოზა განისაზღვრება საჭმლის მონელების დარღვევის სიმძიმის მიხედვით. აუცილებელი დოზა შეიძლება იყოს უფრო მაღალიც.

დოზის გაზრდა დასაშვებია სიმპტომების შემსუბუქების მიზნით (მაგალითად, სტეატორეა, კუჭის ტკივილი), მხოლოდ ექიმის კონტროლით.

ფერმენტის სადღეღამისო დოზა არ უნდა აღემატებოდეს 15 000 – 20 000 ერთეულ ლიპაზას სხეულის მასის 1 კილოგრამზე. ფერმენტის დოზა არ უნდა აღემატებოდეს ცხიმების შეწოვისთვის აუცილებელ დოზას, განსაკუთრებით მუკოვისციდოზის მქონე პაციენტებში.

გამოყენება ბავშვებსა და მოზარდებში

ბავშვებში პრეპარატის დოზირების საკითხი უნდა გადაწყვიტოს ექიმმა.

მიღების წესი

პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000 მიიღება მთლიანად, საკმარისი რაოდენობის სითხის მიყოლებით, საკვების მიღების დროს.

თუ არ გასურთ კაფსულის მთლიანად მიღება, დასაშვებია კაფსულის გახსნა, რაიმე ჭურჭლის ზედაპირზე, მაგალითად, ჭიქის ზედაპირზე, და შემდეგ მიიღეთ მთლიანად მხოლოდ შიგთავსი, მცირე რაოდენობის სითხის მიყოლებით.



აუცილებელია ტაბლეტების მთლიანად მიღება, რადგან პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის ეფექტიანობა მცირდება დაღეჭვისას, ხოლო მასში არსებულმა ფერმენტებმა გამოთავისუფლების შემდეგ შეიძლება დააზიანოს პირის ღრუს ლორწოვანი გარსი. პრეპარატის მიღების შემდეგ მიიღეთ დიდი რაოდენობის სითხე (წყალი ან წვენი).

მკურნალობის ხანგრძლივობა

მკურნალობის ხანგრძლივობა შეზღუდული არ არის. პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის გამოყენების ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების მიმდინარეობაზე და განისაზღვრება ექიმის მიერ. მიმართეთ მკურნალ ექიმს, თუ არ გრძნობთ თავს უკეთ ან გრძნობთ მდგომარეობის გაუარესებას.

თუ ფიქრობთ, რომ პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის მოქმედება ძალიან ძლიერია ან სუსტია, მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ მიიღეთ პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის საჭიროზე მეტი დოზა

ამ შემთხვევაში მიიღეთ დიდი რაოდენობის წყალი და კონსულტაციისთვის მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებული ფხვნილის ძალიან მაღალმა დოზებმა, განსაკუთრებით მუკოვისციდოზის მქონე პაციენტებში, შეიძლება გამოიწვიოს სისხლსა (ჰიპერურიკემია) და შარდში (ჰიპერურიკოზურია) შარდმჟავას დონის მომატება.

თუ დაგავიწყდათ პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის დოზის მიღება

არ მიიღოთ პრეპარატის ორმაგი დოზა გამოტოვებულის საკომპენსაციოდ, გააგრძელეთ მკურნალობა რეკომენდაციების შესაბამისად.

თუ შეწყვიტეთ პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის მიღება

პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის მიღების ნაადრევად შეწყვეტის ან მკურნალობის შეწყვეტის შემთხვევაში, დარღვევებმა შეიძლება ისევ იჩინოს თავი. კონსულტაციისთვის მიმართეთ მკურნალ ექიმს.

პრეპარატის გამოყენების შესახებ დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

4. შესაძლო გვერდითი მოქმედება

როგორც ყველა სამკურნალო საშუალებას, მოცემულ პრეპარატსაც შეუძლია გამოიწვიოს გვერდითი მოქმედება, თუმცა ის არ ვლინდება ყველა პაციენტში.

მნიშვნელოვანი გვერდითი მოქმედება ან სიმტომები, რომლებიც საჭიროებს ყურადღებას, და მათი გამოვლენის შემთხვევაში მისაღები ზომები

თუ ადგილი აქვს ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე გვერდით მოქმედებას, შეწყვიტეთ პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000-ის მიღება და შეძლებისდაგვარად სწრაფად მიმართეთ მკურნალ ექიმს. მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება შემდგომი თერაპიის ჩატარების შესახებ.

ძალიან იშვიათი გვერდითი მოქმედება (შეიძლება აღენიშნოს 10000-დან 1 ადამიანს)

- დიარეა, დისკომფორტი მუცლის არეში, მუცლის ტკივილი, გულისრევა, ღებინება.
- დაუყოვნებელი ტიპის ალერგიული რეაქციები, მაგალითად, გამონაყარი კანზე, ჭინჭრის ციება, ცემინება, ცრემლდენა, ჰაერის უკმარისობის გრძნობა სასუნთქი გზების შევიწროების შედეგად (ბრონქოსპაზმი), ქოშინი.
- ალერგიული რეაქციები საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მხრივ.
- პაციენტებში მუკოვისციდოზით, რომლებიც მაღალი დოზებით იღებდნენ კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებულ ფხვნილს, აღწერილია წვრილი ნაწლავის/ბრმა ნაწლავისა და მსხვილი ნაწლავის აღმავალი ნაწილის შევიწროების შემთხვევები. ასეთი შევიწროება შეიძლება იწვევდეს ნაწლავურ გაუვალობას (იხ. პარაგრაფი 2 „მითითება და სიფრთხილის ზომები“).

სიხშირე უცნობია (არსებული მონაცემების საფუძველზე სიხშირე შეფასებას არ ექვემდებარება)

- მუკოვისციდოზის მქონე პაციენტებში შეიძლება გაძლიერდეს შარდთან შარდმჟავას გამოყოფა, განსაკუთრებით კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებული ფხვნილის მაღალი დოზებით მიღებისას. ამიტომ, მუკოვისციდოზის მქონე პაციენტებს ექიმმა უნდა დაუნიშნოს შარდის ანალიზი შარდმჟავას შემცველობის განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს კენჭების წარმოქმნის რისკი.

შეტყობინება გვერდითი მოქმედების შესახებ

რომელიმე გვერდითი მოქმედების გამოვლენის შემთხვევაში მიმართეთ მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. ეს ასევე, ეხება ნებისმიერ შესაძლო გვერდით მოქმედებას, რომელიც არ არის მითითებული მოცემულ ჩანართში. გვერდითი მოქმედებების შესახებ ინფორმაციის გაგზავნით შეგიძლიათ დახმარება მოცემული სამკურნალო საშუალების უსაფრთხოების შესახებ მეტი ინფორმაციის შეგროვებაში.

5. როგორ ინახება პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000

პრეპარატი შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

მოცემული სამკურნალო საშუალება არ გამოიყენება ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც მითითებულია გარე მუყაოს შეფუთვასა და ეტიკეტზე წარწერა „ვარგისია“-ს შემდეგ. ვარგისობის ვადის გასვლის თარიღი გულისხმობს მითითებული თვის ბოლო დღეს.

შეინახეთ დახურულ შეფუთვაში.

ვარგისობის ვადა:

დაუზიანებელ შეფუთვაში: 2 წელი.

შენახვის პირობები

პრეპარატი შეინახეთ არაუმეტეს 25 °C ტემპერატურაზე.

პირველად გახსნის შემდეგ პრეპარატი სტაბილურია 6 თვის განმავლობაში.

სამკურნალო საშუალებების კანალიზაციის მილში ან საყოფაცხოვრებო ნაგავთან ერთად გადაგდება არ შეიძლება. არასაჭირო პრეპარატის უტილიზაციის საკითხთან დაკავშირებით მიმართეთ ფარმაცევტს. ეს ზომები ხელს უწყობს გარემოს დაცვას.

6. შეფუთვის შიგთავსი და დამატებითი ინფორმაცია

პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის შემადგენლობა

მოქმედი ნივთიერება არის ღორის კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებული ფხვნილი.

ნაწლავში ხსნადი მინი-ტაბლეტებით შევსებული 1 მკვრივი კაფსულა შეიცავს 356,1 (245,6-446,6) მგ ღორის კუჭქვეშა ჯირკვლიდან მიღებულ ფხვნილს:

ლიპაზის აქტივობა	25000 ერთ. Ph. Eur. /კაფსულაზე
ამილაზის აქტივობა არანაკლებ	22500 ერთ. Ph. Eur. /კაფსულაზე
პროტეაზის აქტივობა არანაკლებ	1250 ერთ. Ph. Eur./კაფსულაზე

დამხმარე კომპონენტები: ჰიდროგენიზირებული აბუსალათინის ზეთი; კოლოიდური უწყლო სილიციუმის დიოქსიდი; მაგნიუმის სტეარატი (Ph. Eur.) [მცენარეული]; კროსკარმელოზას ნატრიუმის მარილი; მიკროკრისტალური ცელულოზა.

გარსი: მეტაკრილის მჟავისა და ეთილაკრილატის სოპოლიმერი (1:1), 30%-იანი დისპერსია; ტალკი; ტრიეთილციტრატი; სიმეთიკონის ემულსია 30%-იანი შემდეგი შემადგენლობით: სიმეთიკონი; მაკროგოლის სორბიტანის ტრისტეარატი; მეთილცელულოზა; დიმეთილსილოქსანი დაბოლოებული ჰიდროქსილური ჯგუფებით; მაკროგოლის სტეარატი; მონო- და დიგლიცერიდები; მაკროგოლი; ქსანტანის გუმფისი; ტრიგლიცერიდები; ბენზოის მჟავა; გლიცერინი; ნატრიუმის ქლორიდი; ოქტამეთილციკლოტეტრასილოქსანი; სორბინის მჟავა; გოგირდმჟავა; გაწმენდილი წყალი.

კაფსულის გარსი: რკინის (III) ოქსიდი (E172), რკინის (III) ოქსიდი-ჰიდროქსიდი x H₂O (E172), ინდიგოკარმინი (E132), ქინოლინის ყვითელი (E 104), ტიტანის დიოქსიდი (E 171), ჟელატინი.

პრეპარატ მეზიმ® ფორტე 25 000-ის აღწერა და შეფუთვა

პრეპარატი მეზიმ® ფორტე 25 000 არის მოყვითალო-მწვანე/ღია-ნარინჯისფერი ჟელატინის კაფსულა, რომელიც შეიცავს ღია-ყავისფერ, პრიალა, ჰომოგენურ, ნაწლავში ხსნად მინი-ტაბლეტებს.

მკვრივი კაფსულები მოთავსებულია პოლიპროპილენის ფლაკონებში, რომლებიც ჰერმეტიულად დახურულია პოლიეთილენის საშრობიანი თავსახურით. ფლაკონები ჩანართთან ერთად მოთავსებულია გარე მუყაოს კოლოფში (დასაკვეც კოლოფში).

ორიგინალი შეფუთვა
20 კაფსულაზე.

გაცემის წესი
ფარმაცევტული პროდუქტის ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე

რეგისტრაციის მოწმობის მფლობელი და მწარმოებელი
რეგისტრაციის მოწმობის მფლობელი
მენარინი ინტერნეშნლ ოპერეიშნზ ლუქსემბურგი ს.ა.
1, დე ლა გარეს გამზირი
1611 ლუქსემბურგი

მწარმოებელი
ადვანს ფარმა გმბჰ
ვალენროდერ შტრასე 8-14
13435 ბერლინი
გერმანია
ან
არტეზან ფარმა გმბჰ & კო. კგ
ალბრეხტ-ტაერ-შტრასე 9
29439 ლუხოვი
გერმანია

უფლებამოსილი წარმომადგენელი
ბერლინ-ჰემი აგ
გლინიკერ ვეგ 125
12489 ბერლინი
გერმანია

პრეპარატი წარმოებულია EURAND Minitabs-ის ტექნოლოგიით
მოცემული ჩანართის ბოლო რედაქტირების თარიღი: 2022 წლის აპრილი



**დაფუთვულია
გერმანიაში**